ოქმი №4

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2026 წლის 30 ივნისს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – ბ. ხურცია, ი. კალანდარიშვილი, შ. კოკაია, ი. ცხვიტავა, კ. ტორჩინავა, ზ. აფაქიძე, გ. ოდიშარია, მ. ხაბურზანია, ს. კალანდია.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი: მ. გვასალია; საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე - ზ. ნაჭყებია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – ბ. ხურცია.

დღის წესრიგი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2025 წლის ტურიზმის განვითარების კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის ცნობად მიღების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი: მ. გვასალია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2025 წლის ტურიზმის განვითარების კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის ცნობად მიღების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი: მ. გვასალია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2025 წლის ტურიზმის განვითარების კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარე: ბადრი ხურცია